პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2023 წლის …… **ქ. თბილისი**

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირე“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2028 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირე

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - წესი) ადგენს ქვემოთ ჩამოთვლილ საწარმოებში სახელმწიფო კონტროლის - კერძოდ, ინსპექტირების მინიმალურ სიხშირეს ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და იმ პირობების, რომელშიც ინახება ან იწარმოება ცხოველები და გასამრავლებელი მასალა:

ა) ხმელეთის ცხოველებისა და საინკუბაციო კვერცხის შემნახველი აღიარებული საწარმო;

ბ) მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრის, თხისა და ცხენის გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის აღიარებული საწარმო;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული აკვაკულტურის ზოგიერთი საწარმო და აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფები;

დ) ხმელეთის ცხოველთა რეგისტრირებული საწარმოები, რომლებიც ინახავენ მსხვილფეხა საქონელს, ცხვარს ან თხას.

2. ამ წესით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საწარმო** - ნებისმიერი შენობა, კონსტრუქცია ან, ღია ცის ქვეშ მოწყობილი მეურნეობის შემთხვევაში, ნებისმიერი გარემო ან ადგილი, სადაც, დროებით ან მუდმივად, არიან განთავსებულნი ცხოველები ან გასამრავლებელი მასალა (გენეტიკური მასალა), გარდა:

ა.ა) ოჯახებისა, სადაც შინაური ბინადარი ცხოველები ჰყავთ;

ა.ბ) ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტები ან კლინიკები;

ბ) **ინკუბატორი** - საწარმო, რომელიც აგროვებს, ინახავს, ახორციელებს ინკუბაციას და ჩეკავს კვერცხებს რათა მიაწოდოს:

ბ.ა) საინკუბაციო კვერცხი;

ბ.ბ) ერთდღიანი წიწილები ან სხვა სახეობის საინკუბაციო კვერცხი;

გ) **შეკრების ოპერაცია** - ერთზე მეტი საწარმოდან ხმელეთის ცხოველების შეგროვება იმ სახეობის ცხოველის შესაბამისი ბინადრობისთვის საჭირო პერიოდზე ნაკლები დროის განმავლობაში;

დ) **ძაღლის, კატისა და ქრცვინის შემკრები ცენტრი** - საწარმო, სადაც ერთი და იგივე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე აღნიშნული ცხოველები გროვდებიან ერთზე მეტი საწარმოდან;

ე) **ცხოველთა თავშესაფარი** - საწარმო, სადაც განთავსებულნი არიან ყოფილი უმეთვალყურეო (მიუსაფარი), გარეული, დაკარგული, მიტოვებული ან ჩამორთმეული ხმელეთის ცხოველები და რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლოა არ იყოს ცნობილი საწარმოში შეყვანის დროს;

ვ) **საკონტროლო პუნქტი** - ადგილი, სადაც ცხოველებს ასვენებენ არანაკლებ 12 საათი ან მეტს ,,ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების I დანართის V თავის „1.5“ პუნქტის შესაბამისად;

ზ) **გარემოსგან იზოლირებული მწარმოებელი საწარმო** - საწარმო, სადაც მის კონსტრუქციასთან ერთად ბიოუსაფრთხოების მკაცრი ზომები უზრუნველყოფს ცხოველების წარმოების ეფექტურ იზოლაციას მასთან დაკავშირებული ობიექტებისა და გარემოსაგან;

თ) **შემოფარგლული საწარმო** - ნებისმიერი მუდმივი, გეოგრაფიულად შემოსაზღვრული საწარმო, რომელიც შექმნილია ნებაყოფლობითად და აღიარებულია გადაადგილების მიზნით, სადაც ცხოველები არიან:

თ.ა) განთავსებულნი ან გამოყვანილნი გამოფენების, საგანმანათლებლო, სახეობების კონსერვაციის ან კვლევის მიზნებისათვის;

თ.ბ) შემოფარგლული და განცალკევებული გარემოსაგან;

თ.გ) დაქვემდებარებული ცხოველთა ჯანმრთელობის ზედამხედველობას და ბიოუსაფრთხოების ზომებს;

ი) **გასამარავლებელი (გენეტიკური) მასალის აღიარებული საწარმო** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული სპერმის შემგროვებელი ცენტრი, ემბრიონის შემგროვებელი ჯგუფი, ემბრიონის წარმოების ჯგუფი, გასამარავლებელი (გენეტიკური) მასალის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო ან შემნახველი ცენტრი;

კ) **აღიარებული საკარანტინო საწარმო** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საწარმო;

ლ) **აღიარებული აკვაკულტურის საწარმო** - საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად აღიარებული საწარმო;

მ) **აღიარებული აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საწარმოთა ჯგუფი.

მუხლი 3. ინსპექტირების მინიმალური სიხშირე ზოგიერთ აღიარებულ საწარმოში

სააგენტომ მის მიერ აღიარებულ შემდეგ საწარმოებში უნდა განახორციელოს ყოველ კალენდარულ წელიწადში სულ მცირე ერთხელ სახელმწიფო კონტროლი, კერძოდ, ცხოველთა და საინკუბაციო კვერცხის და იმ პირობების ინსპექტირება, რომლებშიც ინახება ან იწარმოება ეს ცხოველები და საინკუბაციო კვერცხი:

ა) ინკუბატორები და ფრინველის შემნახველი საწარმო;

ბ) ჩლიქოსანი ცხოველებისა და ფრინველების შემკრები ოპერაციების განმახორციელებელი საწარმო;

გ) ძაღლის, კატისა და ქრცვინის შემკრები ცენტრები;

დ) ძაღლის, კატისა და ქრცვინის თავშესაფარი;

ე) საკონტროლო პუნქტი;

ვ) გარემოსგან იზოლირებული ბაზის მწარმოებელი საწარმო;

ზ) აღიარებული საკარანტინო საწარმო;

თ) შემოფარგლული საწარმო.

მუხლი 4. ინსპექტირების ერთიანი მინიმალური სიხშირე რეპროდუქციული პროდუქტის აღიარებულ საწარმოში

სააგენტომ ყოველ კალენდარულ წელს მის მიერ აღიარებული შემდეგ საწარმოებში უნდა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი კერძოდ, ინსპექტირება გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა (გარდა საინკუბაციო კვერცხისა) და იმ პირობებისა, რომლებშიც იწარმოება ეს გასამრავლებელი (გენეტიკური) მასლა:

ა) მსხვილფეხა საქონლისა და ღორის სპერმის შემგროვებელ ცენტრებში - ყოველ კალენდარულ წელიწადში სულ მცირე ორჯერ;

ბ) კალენდარულ წელიწადში არანაკლებ ერთხელ:

ბ.ა) ცხვრის, თხისა და ცხენის სპერმის შემგროვებელ ცენტრებში;

ბ.ბ) ემბრიონის შემგროვებელ ან წარმოების ჯგუფში;

ბ.გ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადამამუშავებელ საწარმოში;

ბ.დ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის შემნახველ ცენტრში.

მუხლი 5. ინსპექტირების მინიმალური სიხშირე ზოგიერთ აღიარებულ აკვაკულტურის საწარმოში და აკვაკულტურის საწარმოების ჯგუფში

სააგენტომ უნდა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი კერძოდ, ინსპექტირება აკვაკულტურის ცხოველებსა და იმ პირობების, რომლებშიც ეს ცხოველები ინახება აღიარებულ აკვაკულტურის ზოგიერთ საწარმოში და აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფში. ეს სახელმწიფო კონტროლი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული აკვაკულტურის საწარმოს ან აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფების ან დამოკიდებულ კომპარტმენტში რისკის რანჟირებას, შემდეგნაირად:

ა) მაღალი რისკის მქონე საწარმო უნდა შემოწმდეს არანაკლებ ერთხელ კალენდარულ წელიწადში;

ბ) საშუალო რისკის მქონე საწარმო უნდა შემოწმდეს არანაკლებ ორ კალენდარულ წელიწადში ერთხელ;

გ) დაბალი რისკის მქონე საწარმო უნდა შემოწმდეს არანაკლებ სამ კალენდარულ წელიწადში ერთხელ.

მუხლი 6. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ფერმებში შემოწმების მინიმალური სიხშირე

სააგენტომ უნდა განახორციელოს ყოველ კალენდარულ წელს სახელმწიფო კონტროლი, კერძოდ, მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის ინსპექტირება იმ საწარმოების არანაკლებ 3%-ში, რომლებიც ინახავენ ამ ცხოველებს.

განმარტებითი ბარათი

„ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი ითვალისწინებს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის განსაზღვრას.

პროექტი შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 2013 წლის 4 თებერვლის ევროკავშირის დირექტივის „კომისიის 2022 წლის 4 თებერვლის (EU) 2022/160 განმახორციელებელი რეგულაცია, რომელიც ადგენს გარკვეული ოფიციალური კონტროლის მინიმალურ სიხშირეს ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/625 რეგულაციის შესაბამისად და აუქმებს (EC) №1082/2003 და (EC) №1505/2006 რეგულაციებს“ შესაბამისად.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2017 წლის 7 მარტის №1/2017 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის კომისიის 2022 წლის 4 თებერვლის (EU) 2022/160 განმახორციელებელი რეგულაცია, რომელიც ადგენს გარკვეული ოფიციალური კონტროლის მინიმალურ სიხშირეს ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/625 რეგულაციის შესაბამისად და აუქმებს (EC) №1082/2003 და (EC) №1505/2006 რეგულაციებს“ .

პროექტით დგინდება კონკრეტულ საწარმოებში სახელმწიფო კონტროლის - კერძოდ, ინსპექტირების მინიმალური სიხშირე ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და იმ პირობების, რომელშიც ინახება ან იწარმოება ცხოველები და გასამრავლებელი მასალა.

პროექტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომელმაც აღიარებულ საწარმოებში უნდა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი, რომლის სიხშირე, დამოკიდებულია საწარმოს ტიპსა და რიგ მახასიათებლებზე.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას გამოყენებულია კომისიის 2022 წლის 4 თებერვლის (EU) 2022/160 განმახორციელებელი რეგულაცია, რომელიც ადგენს გარკვეული ოფიციალური კონტროლის მინიმალურ სიხშირეს ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/625 რეგულაციის შესაბამისად და აუქმებს (EC) №1082/2003 და (EC) №1505/2006 რეგულაციებს“ .

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი გავლენას არ იქონიებს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი ზეგავლენას არ იქონიებს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას და სურსათის მიკვლევადობას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2028 წლის პირველი იანვრიდან.

ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N2-954 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც მოახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ მე-4 თავის - „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები“-ს XI-B დანართის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევების იდენტიფიცირებას და დაგეგმავს მათი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში მივმართეთ თხოვნით, მხარი დაგვიჭიროს ზემოაღნიშნული საკითხის უზრუნველყოფაში.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, უკეთ განვსაზღვროთ დაახლოვებული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებული ვადები და საჭიროების შემთხვევაში, მათი მოვამზადოთ გადავადებების შესახებ შესაბამისი წინადადებები.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №1
ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი		საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში:				
კომისიის 2022 წლის 4 თებერვლის (EU) 2022/160 განმახორციელებელი რეგულაცია, რომელიც ადგენს გარკვეული ოფიციალური კონტროლის მინიმალურ სიხშირეს ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/625 რეგულაციის შესაბამისად და აუქმებს (EC) №1082/2003 და (EC) №1505/2006 რეგულაციებს		N1 „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები

1	ეს რეგლამენტი აწესებს ერთიან მინიმალურ სიხშირეს ოფიციალური კონტროლისთვის, კერძოდ, ცხოველებისა და ჩანასახების პროდუქტების ინსპექტირებისა და მათი შენახვის ან წარმოების პირობებს შემდეგ დაწესებულებებში: ა) 2019/2035 დელეგირებული რეგულაციის (EU) 1(1) მუხლის (ა) პუნქტში მითითებული ხმელეთის ცხოველებისა და გამოსაჩეკი კვერცხების შესახებ; (ბ) 2020/686 დელეგირებული რეგულაციის (EU) მე-3 მუხლში მითითებული პროდუქტების დამტკიცებული საწარმოები; გ) 2016/429 რეგულაციის (EU) 176(1) მუხლის მიხედვით დამტკიცებული აკვაკულტურის ზოგიერთი დაწესებულება და ამ რეგულაციის 177-ე მუხლის შესაბამისად დამტკიცებული აკვაკულტურის დაწესებულებების ჯგუფები; (დ) 2019/2035 დელეგირებული რეგულაციის (EU) 1(1) პუნქტის (ა) მუხლის 1(1) პუნქტში მითითებული ხმელეთის ცხოველთა რეგისტრირებული დაწესებულებები, რომლებიც ინახავენ მსხვილფეხა რქოსანი, ცხვრის ან თხის ცხოველებს.	N1	1	1. „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - წესი) ადგენს ქვემოთ ჩამოთვლილ საწარმოებში სახელმწიფო კონტროლის - კერძოდ, ინსპექტირების მინიმალურ სიხშირეს ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და იმ პირობების, რომელშიც ინახება ან იწარმოება ცხოველები და გასამრავლებელი მასალა: ა) ხმელეთის ცხოველებისა და საინკუბაციო კვერცხის შემნახველი აღიარებული საწარმო; ბ) მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრის, თხისა და ცხენის გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის აღიარებული საწარმო; გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული აკვაკულტურის	სშ	

				ზოგიერთი საწარმო და აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფები; დ) ხმელეთის ცხოველთა რეგისტრირებული საწარმოები, რომლებიც ინახავენ მსხვილფეხა საქონელს, ცხვარს ან თხას.		
2	ამ რეგულაციის მიზნებისთვის, შემდეგი განმარტებები მოცემულია რეგულაციით (EU) 2016/429, დელეგირებული რეგულაცია (EU) 2019/2035, დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/686, დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/688 (9).) და დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/990 (10) გამოიყენება: (ა) 2016/429 რეგულაციის (EU) მე-4 მუხლის (27) პუნქტით განსაზღვრული „დაწესებულება“; (ბ) 2016/429 რეგულაციის (EU) მე-4 მუხლის (47) პუნქტით განსაზღვრული „ლუქის საწარმო“; (გ) 2016/429 რეგულაციის (EU) მე-4 მუხლის (49) პუნქტით განსაზღვრული „აწყობის ოპერაცია“; (დ) 2019/2035 დელეგირებული რეგულაციის (EU) მე-2 მუხლის (7) პუნქტით განსაზღვრული „ძაღლების, კატებისა და ფერეტების შეკრების ცენტრი“; (ე) „ცხოველთა თავშესაფარი“, როგორც ეს განსაზღვრულია დელეგირებული რეგულაციის (EU) 2019/2035 მე-2 მუხლის (8) პუნქტით;	1	2	ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ა) **საწარმო** - ნებისმიერი შენობა, კონსტრუქცია ან, ღია ცის ქვეშ მოწყობილი მეურნეობის შემთხვევაში, ნებისმიერი გარემო ან ადგილი, სადაც, დროებით ან მუდმივად, არიან განთავსებულნი ცხოველები ან გასამრავლებელი მასალა (გენეტიკური მასალა), გარდა: ა.ა) ოჯახებისა, სადაც შინაური ბინადარი ცხოველები ჰყავთ; ა.ბ) ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტები ან კლინიკები; ბ) **ინკუბატორი** - საწარმო, რომელიც აგროვებს, ინახავს, ახორციელებს ინკუბაციას და ჩეკავს კვერცხებს რათა მიაწოდოს: ბ.ა) საინკუბაციო კვერცხი; ბ.ბ) ერთდღიანი წიწილები ან სხვა სახეობის საინკუბაციო კვერცხი; გ) **შეკრების ოპერაცია** - ერთზე მეტი საწარმოდან ხმელეთის ცხოველების შეგროვება იმ სახეობის ცხოველის	სშ	

	(ვ) „საკონტროლო პუნქტი“, როგორც ეს განსაზღვრულია დელეგირებული რეგულაციის (EU) 2019/2035 მე-2 მუხლის (9) პუნქტით; (ზ) „ეკოლოგიურად იზოლირებული საწარმოო დაწესებულება“, როგორც ეს განსაზღვრულია დელეგირებული რეგულაციის (EU) 2019/2035 მე-2 მუხლის (10) პუნქტით; (თ) „დამტკიცებული საკარანტინო დაწესებულება“, როგორც ეს განსაზღვრულია დელეგირებული რეგულაციის (EU) 2020/688 მე-3 მუხლის (9) პუნქტით; (ი) 2016/429 რეგულაციის (EU) მე-4 მუხლის (48) პუნქტით განსაზღვრული „შეზღუდული დაწესებულება“; (კ) 2020/686 დელეგირებული რეგულაციის (EU) მე-2 მუხლის (2) პუნქტით განსაზღვრული „დამტკიცებული პროდუქტის დაწესებულება“; (ლ) „დამტკიცებული აკვაკულტურის დაწესებულება“, როგორც ეს განსაზღვრულია დელეგირებული რეგულაციის (EU) 2020/990 მე-2 მუხლის (10) პუნქტით; (მ) „აკვაკულტურის დაწესებულებების დამტკიცებული ჯგუფი“, როგორც ეს განსაზღვრულია დელეგირებული რეგულაციის (EU) 2020/990 მე-2 მუხლის (11) პუნქტით.			შესაბამისი ბინადრობისთვის საჭირო პერიოდზე ნაკლები დროის განმავლობაში; დ) **ძაღლის, კატისა და ქრცვინის შემკრები ცენტრი** - საწარმო, სადაც ერთი და იგივე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე აღნიშნული ცხოველები გროვდებიან ერთზე მეტი საწარმოდან; ე) **ცხოველთა თავშესაფარი** - საწარმო, სადაც განთავსებულნი არიან ყოფილი უმეთვალყურეო (მიუსაფარი), გარეული, დაკარგული, მიტოვებული ან ჩამორთმეული ხმელეთის ცხოველები და რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლოა არ იყოს ცნობილი საწარმოში შეყვანის დროს; ვ) **საკონტროლო პუნქტი** - ადგილი, სადაც ცხოველებს ასვენებენ არანაკლებ 12 საათი ან მეტს ,,ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების I დანართის V თავის „1.5“ პუნქტის შესაბამისად; ზ) **გარემოსგან იზოლირებული მწარმოებელი საწარმო** - საწარმო, სადაც მის კონსტრუქციასთან ერთად ბიოუსაფრთხოების მკაცრი ზომები უზრუნველყოფს ცხოველების წარმოების ეფექტურ იზოლაციას მასთან დაკავშირებული ობიექტებისა და გარემოსაგან; თ) **შემოფარგლული საწარმო** - ნებისმიერი მუდმივი, გეოგრაფიულად შემოსაზღვრული		

				საწარმო, რომელიც შექმნილია ნებაყოფლობითად და აღიარებულია გადაადგილების მიზნით, სადაც ცხოველები არიან: თ.ა) განთავსებულნი ან გამოყვანილნი გამოფენების, საგანმანათლებლო, ახეობების კონსერვაციის ან კვლევის მიზნებისათვის; თ.ბ) შემოფარგლული და განცალკევებული გარემოსაგან; თ.გ) დაქვემდებარებული ცხოველთა ჯანმრთელობის ზედამხედველობას და ბიოუსაფრთხოების ზომებს; ი) **გასამარავლებელი (გენეტიკური) მასალის აღიარებული საწარმო** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული სპერმის შემგროვებელი ცენტრი, ემბრიონის შემგროვებელი ჯგუფი, ემბრიონის წარმოების ჯგუფი, გასამარავლებელი (გენეტიკური) მასალის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო ან შემნახველი ცენტრი; კ) **აღიარებული საკარანტინო საწარმო** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საწარმო; ლ) **აღიარებული აკვაკულტურის საწარმო** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საწარმო; მ) **აღიარებული აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საწარმოთა ჯგუფი.	

3	წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები(11), ახორციელებენ მინიმუმ ყოველ კალენდარულ წელიწადში ერთხელ ოფიციალურ კონტროლს, კერძოდ, ცხოველთა და გამოჩეკვი კვერცხების ინსპექტირებას და იმ პირობებს, რომლებშიც ინახება ან იწარმოება ეს ცხოველები და გამოჩეკვი კვერცხები შემდეგ სახეობებში. დაწესებულებები მის ტერიტორიაზე, რომლებმაც მიიღეს დამტკიცება კომპეტენტური ორგანოსგან: ა) საინკუბაციო ქარხნები და მეფრინველეობის მწარმოებელი დაწესებულებები; (ბ) დაწესებულებები ჩლიქოსანი ცხოველებისა და მეფრინველეობის აწყობის სამუშაოებისთვის; (გ) ძაღლების, კატებისა და ფერეტების შეკრების ცენტრები; (დ) ცხოველთა თავშესაფარი ძაღლებისთვის, კატებისთვის და ბორცვებისთვის; (ე) საკონტროლო პუნქტები; (ვ)ფუტკრის ეკოლოგიურად იზოლირებული საწარმოო დაწესებულებები; (ზ) დამტკიცებული საკარანტინო დაწესებულებები; (თ) შეზღუდული დაწესებულებები.	N1	3	სააგენტომ მის მიერ აღიარებულ შემდეგ საწარმოებში უნდა განახორციელოს ყოველ კალენდარულ წელიწადში სულ მცირე ერთხელ სახელმწიფო კონტროლი, კერძოდ, ცხოველთა და საინკუბაციო კვერცხის და იმ პირობების ინსპექტირება, რომლებშიც ინახება ან იწარმოება ეს ცხოველები და საინკუბაციო კვერცხი: ა) ინკუბატორები და ფრინველის შემნახველი საწარმო; ბ) ჩლიქოსანი ცხოველებისა და ფრინველების შემკრები ოპერაციების განმახორციელებელი საწარმო; გ) ძაღლის, კატისა და ქრცვინის შემკრები ცენტრები; დ) ძაღლის, კატისა და ქრცვინის თავშესაფარი; ე) საკონტროლო პუნქტი; ვ) გარემოსგან იზოლირებული ბაზის მწარმოებელი საწარმო; ზ) აღიარებული საკარანტინო საწარმო; თ) შემოფარგლული საწარმო.	სშ	

4	წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები განახორციელებენ ოფიციალურ კონტროლს და, კერძოდ, ინსპექტირებას ჩანასახოვან პროდუქტებზე, გარდა გამოსაჩეკი კვერცხებისა და იმ პირობებზე, რომლებშიც წარმოიქმნება ეს ჩანასახოვანი პროდუქტები ყოველ კალენდარულ წელს მის ტერიტორიაზე არსებულ შემდეგ სახეობებში. მიიღეთ დამტკიცება კომპეტენტური ორგანოსგან: ა) ყოველ კალენდარულ წელიწადში ორჯერ მაინც, სპერმის შეგროვების ცენტრები მსხვილფეხა რქოსანი და ღორის ცხოველებისთვის; ბ) კალენდარულ წელიწადში ერთხელ მაინც: (i) სპერმის შეგროვების ცენტრები ცხვრის, თხისა და ცხენის ცხოველებისთვის; (ii) ემბრიონის შეგროვების ან წარმოების ჯგუფები; (iii) ჩანასახოვანი პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები; (iv) ჩანასახის პროდუქტების შესანახი ცენტრები.	N1	4	სააგენტომ ყოველ კალენდარულ წელს მის მიერ აღიარებული შემდეგ საწარმოებში უნდა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი კერძოდ, ინსპექტირება გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა (გარდა საინკუბაციო კვერცხისა) და იმ პირობებისა, რომლებშიც იწარმოება ეს გასამრავლებელი (გენეტიკური) მასლა: ა) მსხვილფეხა საქონლისა და ღორის სპერმის შემგროვებელ ცენტრებში - ყოველ კალენდარულ წელიწადში სულ მცირე ორჯერ; ბ) კალენდარულ წელიწადში არანაკლებ ერთხელ: ბ.ა) ცხვრის, თხისა და ცხენის სპერმის შემგროვებელ ცენტრებში; ბ.ბ) ემბრიონის შემგროვებელ ან წარმოების ჯგუფში; ბ.გ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადამამუშავებელ საწარმოში;	სშ	

				ბ.დ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის შემნახველ ცენტრში.		
5	წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო ახორციელებს ოფიციალურ კონტროლს და, კერძოდ, ინსპექტირებას აკვაკულტურის ცხოველებზე და იმ პირობებზე, რომლებშიც ეს ცხოველები ინახება ზოგიერთ დამტკიცებულ აკვაკულტურულ დაწესებულებებში და აკვაკულტურის დაწესებულებების დამტკიცებულ ჯგუფებში მის ტერიტორიაზე. ეს ოფიციალური კონტროლი ითვალისწინებს დამტკიცებული აკვაკულტურის დაწესებულებების ან აკვაკულტურის დაწესებულებების დამტკიცებული ჯგუფის რისკის რანჟირებას, რომელიც განსაზღვრულია კომპეტენტური ორგანოს მიერ დელეგირებული რეგულაციის (EU) 2020/689 VI დანართის 1 ნაწილის 1-ლი თავის 1.2 პუნქტის შესაბამისად. ან ამ რეგულაციის 73(3) მუხლის (ბ) პუნქტში მითითებული დაწესებულებების რისკის რანჟირება დამოკიდებულ განყოფილებებში, შემდეგნაირად: (ა) მაღალი რისკის მქონე დაწესებულებები უნდა შემოწმდეს კალენდარულ წელიწადში ერთხელ მაინც; (ბ) საშუალო რისკის მქონე დაწესებულებები უნდა შემოწმდეს არანაკლებ ორ კალენდარულ წელიწადში ერთხელ; (გ) დაბალი რისკის მქონე დაწესებულებები უნდა შემოწმდეს მინიმუმ სამ კალენდარულ წელიწადში ერთხელ.	N1	5	სააგენტომ უნდა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი კერძოდ, ინსპექტირება აკვაკულტურის ცხოველებსა და იმ პირობების, რომლებშიც ეს ცხოველები ინახება აღიარებულ აკვაკულტურის ზოგიერთ საწარმოში და აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფში. ეს სახელმწიფო კონტროლი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული აკვაკულტურის საწარმოს ან აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფების ან დამოკიდებულ კომპარტმენტში რისკის რანჟირებას, შემდეგნაირად: ა) მაღალი რისკის მქონე საწარმო უნდა შემოწმდეს არანაკლებ ერთხელ კალენდარულ წელიწადში;	სშ	

				ბ) საშუალო რისკის მქონე საწარმო უნდა შემოწმდეს არანაკლებ ორ კალენდარულ წელიწადში ერთხელ; გ) დაბალი რისკის მქონე საწარმო უნდა შემოწმდეს არანაკლებ სამ კალენდარულ წელიწადში ერთხელ.		
6	წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო ახორციელებს ოფიციალურ კონტროლს და, კერძოდ, ინსპექტირებას მსხვილფეხა რქოსანი, ცხვრის და თხის იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის შესახებ ყოველ კალენდარულ წელს, მის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების არანაკლებ 3%-ში, რომლებიც ინახავენ ამ ცხოველებს.	N1	6	სააგენტომ უნდა განახორციელოს ყოველ კალენდარულ წელს სახელმწიფო კონტროლი, კერძოდ, მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის ინსპექტირება იმ საწარმოების არანაკლებ 3%-ში, რომლებიც ინახავენ ამ ცხოველებს.	სშ	
7	1. გაუქმებულია რეგულაციები (EC) No1082/2003 და (EC) No1505/2006. 2. გაუქმებულ რეგლამენტზე მითითება განიხილება როგორც მითითება ამ დებულებაზე და იკითხება დანართში მოცემული შესაბამისობის ცხრილის შესაბამისად.				ას	რეგულაციის გარდამავალი დებულებები

<table>
<tr>
<td>8</td>
<td>ეს რეგულაცია ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

ეს რეგულაცია მთლიანად სავალდებულოა და უშუალოდ გამოიყენება ყველა წევრ სახელმწიფოში.
შესრულებულია ბრიუსელში, 2022 წლის 4 თებერვალს.
ეს რეგულაცია ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

ეს რეგულაცია მთლიანად სავალდებულოა და უშუალოდ გამოიყენება ყველა წევრ სახელმწიფოში. შესრულებულია ბრიუსელში, 2022 წლის 4 თებერვალს.</td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
<td>ას</td>
<td>რეგულაციის დასკვნითი დებულებები</td>
</tr>
<tr>
<td>დანართი</td>
<td>1. რეგულაცია (EC) No 1082/2003

<table>
<tr><td>რეგულაცია (EC) No 1082/2003</td><td>რეგულაცია</td></tr>
<tr><td>მუხლი 1</td><td>-</td></tr>
<tr><td>მუხლი 2(1)</td><td>მუხლი 6</td></tr>
<tr><td>მუხლი 2(2)</td><td>-</td></tr>
<tr><td>მუხლი 2(3)</td><td>-</td></tr>
<tr><td>მუხლი 2(4)</td><td>-</td></tr>
</table>
</td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
<td>ას</td>
<td>რეგულაციის კორელაციის ცხრილი</td>
</tr>
</table>

	მუხლი 6	-						
	მუხლი 7	-						
	დანართი	-						